საქართველოს მთავრობის

დადგენილება №42

2026 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„შპს ემ თი ეის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №606 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შპს ემ თი ეის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №606 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2025, 040170020.10.003.025500) შეტანილ იქნეს ცვლილება და წესის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4. შესყიდვის საშუალებები**

1. ამ წესის დანართით განსაზღვრული საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის საშუალებით ან/და პირდაპირი შესყიდვის საშუალებით.

2. შემსყიდველის მიერ პირდაპირი შესყიდვის საშუალებით შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს, თუ შესყიდვის შესახებ ერთჯერადად დასადები ხელშეკრულების ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

3. შემსყიდველის მიერ პირდაპირი შესყიდვის საშუალებით შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს, თუ შესყიდვის შესახებ ერთჯერადად დასადები ხელშეკრულების ღირებულება არ აღემატება ამ წესის დანართის:

ა) №1.1, №1.3, №1.5, №1.8, №1.10 პუნქტებით გათვალისწინებული შესყიდვისას „ზღვრის გარეშე“;

ბ) №1.2 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 500 000 ლარს;

გ) №1.20 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 550 000 ლარს;

დ) №1.6, №1.13, №1.17 პუნქტებით გათვალისწინებული შესყიდვისას 200 000 ლარს;

ე) №1.21 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 150 000 ლარს;

ვ) №4.1 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 120 000 ლარს;

ზ) №2.1 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 100 000 ლარს, თუ მიმწოდებელი არარეზიდენტია;

თ) №5.1 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 70 000 ლარს;

ი) №1.19 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვისას 20 000 ლარს;

კ) №1.11, №1.15 და №1.18 პუნქტებით გათვალისწინებული შესყიდვისას 10 000 ლარს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**